

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტი
აცხადებს

კონკურსს

VICTORIA

ლათინურ ენასა

და

ძველ ბერძნულ ენაში

კონკურსი ჩატარდება 2016 წლის 22 ივლისს 12 საათზე.

ორ-ორი საუკეთესო კონკურსანტი დაჯილდოვდება მოგზაურობით გაოკლარჯეთში, მომდევნო ორ ადგილზე გასულებს გადაეცემათ ინსტიტუტის საგამომცემლო პროგრამის "ლოგოსის" ვაუჩერები "ლოგოსის" გამოცემების შესაძენად. გამარჯვებულებს გადაეცემათ დიპლომებიც.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსა და მოგზადასაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებს (კლასიკური ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტებს მიეცემათ შედარებით რთული ტესტები).

ლათინურ ენაში კონკურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ შემდეგი მასალის ცოდნა:

კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს წიგნიდან: მ.ფსაკაძე, *ლათინური ენა*. თბილისი, 1984, მათ შორის შემდეგი მასალისა:

არსებითი სახელი (5 კანკელეობა), მედსართავი სახელები, ხარისხთა წარმოება, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები (მათ შორის: is, ea, id; hic, haec, hoc; ille, a, ud; ipse, a, um; quis, quid; qui, quae, quod; idem, eadem, idem; nemo, nihil), წინდებულები და მათი ბრუნვები, მზნა: უღლება კველა დროში, გვარსა და კილოში, esse და posse მზნების უღლება, დეპონენტური მზნების უღლება, სუბინუმი, გერუნდიუმი, მიმლობები, დაკავშირებული მიმლობა (participium coniunctum), სინგაქსური კონსტრუქციები: nom. duplex, nom. cum infinitivo, gen. obiectivus, gen. partitivus, gen. qualitatis, dat. commodi, dat. duplex, dat. finalis, dat. possessivus, acc. duplex, acc. cum inf., acc. temporis, abl. absol., abl. auctoris, abl. causae, abl. comparationis, abl. instrumenti, abl. loci, abl. separationis, abl. temporis; ახვეუ, cum-იანი და ut (ne) კონსტრუქციები; si realis, si irrealis, si potentialis.

სხვა ფაკულტეტების სტუდენტებს მოეთხოვებათ გრამატიკული მასალის და სენტენციების ცოდნა წიგნიდან: ი.ვაგუა, ე. გამყრელიძე, *Lingua Latina*. თბ., 2007.

გესტი შედგება 7 კითხვისაგან: 7 სენტენცია (14 ქულა), სენტენციის გამოცნობა (3), ლათინურიდან მომდინარე საერთაშორისო გერმინოლოგია (4), ერთი მცდარი ფორმის გასწორება (4), სინგაქსური კონსტრუქციის გამოყენება (10) და თარგმანი ქართულიდან ლათინურ (35) და ლათინურიდან ქართულ (30) ენებზე.

ძველ ბერძნულ ენაში კონკურსის მონაწილეებს მოეთხოვებათ შემდეგი მასალის ცოდნა:

კლასიკური ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს სენტენციები და გრამატიკული მასალა წიგნიდან: ქაბესაძე, *ძველი ბერძნული ენა*. თბ., 1999; მ. მჭედლიძე, *Πολιτεία. ძველი ბერძნული ენა დამწყებთათვის*. თბ., 2012; ა. ურუშაძე, *ძველი ბერძნული ენა*. თბილისი, 1969.

სხვა ფაკულტეტების, კლასიკური ფილოლოგიისა და ბიზანტინისტიკის I კურსის სტუდენტებს – გრამატიკული მასალა და სენტენციები წიგნიდან: ქაბესაძე, *ძველი ბერძნული ენა*. თბ., 1999 (28 პარაგრაფი); მ. მჭედლიძე, *Πολιτεία. ძველი ბერძნული ენა დამწყებთათვის*. თბილისი, 2012.

გესტი შედგება 7 კითხვისაგან: 7 სენტენცია (14 ქულა), სენტენციის გამოცნობა (3), ძველი ბერძნულიდან მომდინარე საერთაშორისო გერმინოლოგია (4), ერთი მცდარი ფორმის გასწორება (4), სინგაქსური კონსტრუქციის გამოყენება (10) და თარგმანი ქართულიდან ძველ ბერძნულ (35) და ძველი ბერძნულიდან ქართულ (30) ენებზე.

შეფასება წარმოებს 100-ქულიანი სისკემით, ქულების მინიმალური ოდენობაა 71 ქულა. თუკი ყველაზე ძლიერი მონაწილე მხოლოდ 70 ქულას დააბრუნებს, კონკურსს გამარჯვებული არ ეყოლება.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ

- (ა) პირადობის მოწმობის ან სტუდენტობის (მოსწავლის ბილეთის) ასლი;
- (ბ) შეავსონ განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე.

საბუთების მიღება იწარმოებს 7 დან 19 ივლისის ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა), 11.00-17.00 სთ., ჭავჭავაძის პრ. 13, თსუ VIII კორპუსი, III სართული, ს. ყაუხჩიშვილის სახ. ბიბლიოთეკა. კონკურსში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ, გესტების ნიმუშებს გაეცნონ შემდეგ საიტზე: www.greekstudies.tsu.ge. კითხვები შეგიძლიათ, გამოგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე: vakhtangr@gmail.com.